



1-753

4.11.09

სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და
მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს

საკითხი: რიგი სტანდარტების რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნა.

მოგმართავთ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის "ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ" 1995 წლის 15 აპრილის შეთანხმების მე-4 მუხლთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ ქვეყანაში სტანდარტიზაციის ცენტრალური ორგანო ამ შეთანხმების მე-3 დანართით დადგენილ "სტანდარტების მომზადების, მიღებისა და გამოყენების კარგი პრაქტიკის კოდექსის" მიხედვით მოქმედებდეს. კერძოდ, ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ აღნიშული კოდექსის „F“ პარაგრაფს, რომლის მიხედვით სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია მის მიერ შემუშავებული სტანდარტების საფუძვლად საერთაშორისო სტანდარტები გამოიყენოს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო არ შეიმუშავებს სტანდარტებს, არამედ მხოლოდ ანიჭებს სამართლებრივ სტატუსს (რეგისტრაციაში გატარების გზით) სხვა პირების მიერ შემუშავებულ სტანდარტებს, "სტანდარტების მომზადების, მიღებისა და გამოყენების კარგი პრაქტიკის კოდექსის" „F“ პარაგრაფის განხორციელება ნიშნავს იმას, რომ სააგენტომ სტანდარტის რეგისტრაციაში გატარების შესახებ გადაწყვეტილება საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობის მიხედვით მიიღოს. უფრო მეტიც, "სტანდარტების მომზადების, მიღებისა და გამოყენების კარგი პრაქტიკის კოდექსის" „F“ პარაგრაფი საფუძველს იძლევა იმისთვისაც, რომ სააგენტომ გააუქმოს ადრე რეგისტრირებული იმ სტანდარტების რეგისტრაცია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება.

ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ გააუქმოთ საქართველოს შემდეგი სტანდარტების რეგისტრაცია:

- მსტ 20769010-004-2006 "კარაქი ნაღების და კომბინირებული "ჯორჯიან-ეკო";
- მსტ 20964817-001-2009 "კარაქი ნაღების და კომბინირებული "სამგორი";
- მსტ 20630602-021-2006 "კარაქი ძროხის და კომბინირებული "ნიკორა";
- მსტ 20446152-016-04 "კარაქი".

(სტანდარტების ტექსტები თანდართულია)

ჩამოთვლილი სტანდარტების რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ისინი ითვალისწინებს პროდუქტში, რომლის დასახელებაში ფიგურირებს სიტყვა "კარაქი" მცენარეული ცხიმების გამოყენებას. ეს კი ეწინააღმდეგება შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების დებულებებს:

- კოდექს ალიმენტარიუსის "რძის პროდუქტების დასახელებათა გამოყენების შესახებ" ზოგადი სტანდარტის (Codex General Standard for the Use of Dairy Terms, CODEX STAN 206-1999) 4.3 პუნქტის მიხედვით რძის რომელიმე პროდუქტის დასახელების გამოყენება პროდუქტის ეტიკეტზე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შემცველობა ამ კოდექსით ამ პროდუქტისთვის დადგენილ სტანდარტს შეესაბამება;
- კოდექს ალიმენტარიუსის სტანდარტი "კარაქის" (Codex Standard for Butter, CODEX STAN 279-1971) 3.1 პუნქტის მიხედვით კი კარაქი მხოლოდ რძისგან ან რძისგან მიღებული მასალებისგან დამზადებულ პროდუქტს წარმოადგენს (ანუ მცენარეული ცხიმის გამოყენება კარაქის დამზადებისას დაუშვებელია).

გთხოვთ, აგრეთვე გამოიკვლიოთ თქვენს მიერ რეგისტრაციაში გატარებული სხვა ე.წ. "მეწარმე სუბიექტის სტანდარტებიც" და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შეუსაბამობის შემთხვევაში აგრეთვე გააუქმოთ მათი რეგისტრაცია.

გთხოვთ, გვაცნობოთ ამ განცხადებაზე თქვენი რეაგირების შესახებ.

პატივისცემით,

ეკა ურუშაძე
აღმასრულებელი დირექტორი